

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

# შესაგებელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

საქმე №3/234-14

ააიპ "მწვანე ალტერნატივა"
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

ნანა დარასელია
მოსამართლის სახელი და გვარი

## მოპასუხე:

მესამე პირი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

204559691
პირადი (საიდენ.) ნომერი

ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი №150
ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

## მოპასუხის წარმომადგენელი:

ვლადიმერ ლაზარიშვილი
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი

პირადი ნომერი

ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი №150
ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

## საკონტაქტო პირი:

დავით გოგიბერიძე
სახელი, გვარი

სახლის ტელ.

599 47 32 34
მობილური

ელექტრონული ფოსტა

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*ნიმუში ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

საჩივი:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**ცნობთ თუ არა სარჩელს?**

**დიახ** ☐

**არა** ☒

**ნაწილობრივ** ☐

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი აწესებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპს, თუმცა, აქვე ადგენს გამონაკლისებს. კერძოდ, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ეს არის "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა რომლის თანახმად, ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ, წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს საკუთრების უფლებას წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიურ ან სხვა ინფორმაციაზე.

დაუშვებელია სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის პირველი მუხლით, მესამე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებით და მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განმარტებებსა და სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებებს უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მიაწოდონ მათ მოთხოვნილი ინფორმაცია, ამავე კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქვეყანა ვალდებულია ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით დააკმაყოფილოს ეკოლოგიურ ინფორმაციაზე

საზოგადოების მოთხოვნა. მასთანავე, ამავე კონვენციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა შეიძლება უარყოფილ იქნას, თუ მისი განცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს: „მესამე მხარის ინტერესებზე, რომელმაც მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია თუ მას არა აქვს ან არ შეიძლება დაეკისროს იურიდიული მოვალეობა გასცეს ამგვარი ინფორმაცია ან როდესაც ეს მხარე არ იძლევა თანხმობას ამ მასალების გამოქვეყნებაზე"; როგორც მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, თავად კონვენცია აკეთებს დათქმას ეროვნული კანონმდებლობით გარკვეული შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდების უარყოფის შესახებ. სწორედ "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის მოტივით ეთქვა უარი „მწვანე ალტერნატივა"-ს ინფორმაციის მიწოდებაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიაჩნია, რომ ააიპ „მწვანე ალტერნატივა"-ს უარი უნდა ეთქვას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებასა და მისი 2013 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე.

მე-2 საჩივრის მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32ე ან 34ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.
მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის ბათილად ცნობის არცერთი საფუძველი.

მე-3 საჩივრის მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

## მტკიცებითი შუამდგომლობები

| | |
|---|---|
| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

## სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის ზ პუნქტის თანახმად, საქმეში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმული იქნეს შპს არმჯ გოლდი და სს არემჯი კოპერი.

არგუმენტაცია:

მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია უშუალოდ ეხება შპს RMG Gold-სა და სს RMG Cupper-ის მიერ მოპოვებულ საინფორმაციო გეოლოგიურ ანგარიშს.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:
**არა** ☒ რადგან

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1:
დანართი 2:
ფურცლების საერთო რაოდენობა — 8

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☒

არა ☐ რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

სამუშაო ადგილის მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☒

არა ☐ რადგან

**ატვირთვის ბმული:** http://tbappeal.court.ge/sf http://tbappeal.court.ge/sf

**საიდენტიფიკაციო ნომერი:**

ელ. ფოსტა: 1st.instance@court.ge ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| | ვლადიმერ ლაზარიშვილი | 23/04/2014 წ. |
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.